N 575/11
08/02/2021

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #310101/27

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.
1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ("შემსყიდველი")
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6

და მეორეს მხრივ
შპს ,,თეგეტა მოტორსი" ("მიმწოდებელი") შორის.
მის: თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ №5

3. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანისათვის Toyota Camry სახ. ნომ. (QQ-299-DQ) ოთხი ერთეული ზამთრის საბურავის (Mich. 235/45 R18 Pilot Alpin 5) თანმდევი მომსახურებით (მონტაჟით) შესყიდვა **(კოდი: 34351100)** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული

შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მოსაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს **1760.00** (ერთიათას შვიდასსამოცი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. ერთეულის (ერთი ცალი ზამთრის საბურავის Mich. 235/45R18 Pilot Alpin 5) ღირებულება შეადგენს 440.00 ლარს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებლის სერვის ცენტრში.

5.2 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოსაწოდებელი საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

5.4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის ღირებულება.

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი მოწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე და შესაბამისი მიღება-ჩაბარების და ურთიერთშედარების აქტებზე ხელმოწერას უზრუნველყოფს - სამეურნეო და ლოჯისტიკის
სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მიხეილ კერესელიძე.

8. ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი არ გამოავლენს რაიმე სახის ხარვეზს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8.2 გარანტია გავრცელდება შესყიდვის ობიექტზე სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში არანაკლებ 50000 კმ. გარბენზე.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში.

9.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. მხარეები აღიარებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში და თანხმდებიან, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს;
13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
13.5 ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

14. ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით;
14.3. ხელშეკრულების 5.1. და 9.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
14.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
14.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მხარეების მიერ შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

Tegeta Motors LLC

Digitally signed by Tegeta Motors LLC
Date: 2021.02.08 15:00:05 +04'00'

მიმწოდებელი: **შპს „თეგეტა მოტორსი“**

ს.კ. 202177205; ბანკი: სს „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: TBCBGE22; მიმღების ანგარიში: GE80TB0600000024467853

სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი: ჟორა რუხაძე

შემსყიდველი: **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

ს.კ. 205350528 სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 მიმღების ანგარიში GE24NB0330100200165022

Ministry of Environmental Protection and Agriculture

Digitally signed by Ministry of Environmental Protection and Agriculture
Date: 2021.02.08 13:04:11 +04'00'

ოთარ შამუგია

მინისტრის მოადგილე